Geo: დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის (www.supremecourt.ge) მიერ. თარგმანის ხელახალი გამოქვეყნების ნებართვა გაცემულია მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში განთავსების მიზნით.

Eng: The document was provided by the Supreme Court of Georgia, Human Rights Centre of the Analytical Department (www.supremecourt.ge). Permission to republish this translation has been granted for the sole purpose of its inclusion in the European Court of Human Rights database HUDOC

ა.დ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

A.D. and Others v. Georgia

საჩივარი N 57864/17, 79087/17 და 55353/19

01.12.2022

ტრანსგენდერ მამაკაცებს არ შეუძლიათ მიოპივონ თავიანთი სქესის იურიდიული აღიარება სქესობრივი მახასიათებლების შესაცვლელად სამედიცინო პროცედურების გარეშე, საკანონმდებლო ბაზის უზუსტობის გამო: *დარღვევა*

ფაქტები

მომჩივნები არიან სამი ტრანსგენდერი მამაკაცი, რომლებმაც მიმართეს სამოქალაქო რეესტრს („რეესტრი“) მათ სამოქალაქო სტატუსის ჩანაწერებში სქესის/გენდერის შეცვლისათვის, კერძოდ, მათ სურდათ, „ქალი“ გადაკეთებულიყო „მამაკაცად“. რეესტრმა უარყო მომჩივნების მოთხოვნები იმის საფუძველზე, რომ მათ არ აჩვენეს, რომ ჩაიტარეს სქესის შეცვლის სამედიცინო პროცედურები. მაშასადამე, მათ არ შეეცვალათ სქესი სამოქალაქო აქტების შესახებ საქართველოს კანონის 78 (ზ) მუხლის საფუძველზე, რასაც ეს დებულება მოითხოვდა საჯარო ჩანაწერებში შესწორების მიზნით. მომჩივნებმა წარუმატებლად გააპროტესტეს ხელისუფლების უარი ამ კუთხით.

სამართალი

კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

45. მომჩივნები კონვენციის მე-3, მე-8 და მე-14 მუხლების საფუძვლებზე დავობდნენ, რომ არ შეეძლოთ შეეცვალათ სქესის/გენდერის ნიშნები სამოქალაქო სტატუსის ჩანაწერებში. როგორც საქმის ფაქტებისთვის კანონით მინიჭებული დახასიათების ოსტატი, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივრები უნდა განიხილოს მხოლოდ კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში (შედარებისთვის იხ. S.V. v. Italy, no. 55216/08, § 77, 11 October 2018, და A.P., Garçon and Nicot v. France, cited above, §§ 158 and 160).

სასამართლოს შეფასება

(ა) საქმე ეხება ჩარევას თუ დადებით ვალდებულებას

69. სასამართლო შენიშნავს, რომ მომჩივნების საჩივრები, მიუხედავად იმისა, რომ მიმართულია ადგილობრივი ხელისუფლების უარის წინააღმდეგ, რომ შეიცვალოს მათი სქესი/გენდერული ნიშნები სამოქალაქო სტატუსის ჩანაწერებში, არსებითად ეხება გენდერის სამართლებრივი აღიარებისთვის საკმარისი მარეგულირებელი ჩარჩოს სავარაუდო ნაკლებობას. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ტრანსგენდერი პირის გენდერული იდენტობის იურიდიული აღიარების პირობების კონვენციის მე-8 მუხლთან შესაბამისობა ან მათი სრული არარსებობა უნდა იქნას შესწავლილი სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების პერსპექტივიდან (შედარებისთვის *X v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, ციტირებული ზემოთ §§ 63-65, და *Hämäläinen*, ([GC], no. 37359/09, § 62-64, ECHR 2014).
70. შესაბამისად, სასამართლო განიხილავს წინამდებარე საქმეს მოპასუხე სახელმწიფოს დადებითი ვალდებულებების კუთხით. ვინაიდან კონვენციით გათვალისწინებული სახელმწიფოს პოზიტიური და უარყოფითი ვალდებულებების შესაფასებლად გამოყენებული პრინციპები მსგავსია, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამართლიანი ბალანსი, რომელიც დამყარებული უნდა იყოს მომჩივანთა და მთლიანად საზოგადოების დაპირისპირებულ ინტერესებს შორის მაშინ, როცა მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნები რჩება გარკვეულწილად აქტუალურად (იხ. *Hämäläinen*, ციტირებული ზემოთ, § 65).

(ბ) სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების შესრულება

71. სასამართლო კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ მე-8 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებების შესრულებისას სახელმწიფოები სარგებლობენ შეფასების გარკვეული ფარგლებით. ამ ფარგლების განსაზღვრისას გასათვალისწინებელია მთელი რიგი ფაქტორები. როდესაც საქმე ეხება პირის არსებობის ან იდენტობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ასპექტს, სახელმწიფოსთვის დაშვებული ფარგლები შეიზღუდება. თუმცა, როდესაც არ არსებობს კონსესუსი ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში ინტერესის ფარდობით მნიშვნელობასთან

დაკავშირებით ან მისი დაცვის საუკეთესო საშუალებებთან დაკავშირებით, კერძოდ, იქ სადაც საქმე აყენებს მგძნობიარე მორალურ ან ეთიკურ საკითხებს, ფარგლები უფრო ფართო იქნება (იხ. *Hämäläinen*, ციტირებული ზემოთ, § 67). რაც შეეხება პირის ცხოვრების ყველაზე ინტიმურ ნაწილს, კერძოდ, გენდერული იდენტობის უფლებას, სასამართლო ხშირად ხაზს უსვამს, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აქვთ შეფასების ვიწრო ფარგლები ამ კონკრეტულ სფეროში (see *S.V. v. Italy*, cited above, § 62; *Y.T. v. Bulgaria*, no. 41701/16, § 63, 9 July 2020).

72. შენიშნავს რა, რომ მთავრობის ზოგიერთი არგუმენტი შეიძლება ჩაითვალოს, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული აღსრულებადი უფლების არსებობას, რომ შეიცვალოს სქესის ნიშანი სამოქალაქო სტატუსის ჩანაწერებში, სტრასბურგის სასამართლო განმარტავს, რომ როგორც შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობიდან და საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის განჩინებიდან ჩანს, ქართველმა კანონმდებელმა არამარტო კანონის ფარგლებში გააფორმა ასეთი უფლება, არამედ ის ასევე განიმარტა, როგორც კონსტიტუციის მე-12 მუხლის მიხედვით პიროვნების თავისუფლად განვითარების შესაბამისი კონსტიტუციური უფლების ნაწილი.

73. გარდა ამისა, სასამართლომ საკუთარ პრეცედენტულ სამართალში განაცხადა გენდერის სამართლებრივი აღიარების შესახებ, რომ ის რასაც წევრი სახელმწიფოები მოელიან კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში არის სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურების უზრუნველსაყოფად ტრანსგენდერი პირების რეგისტრირებადი სქესის ნიშნის შეცვლისათვის (see *X v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, cited above, § 70). მართლაც, ამ უკანასკნელის თვალსაზრისით, ძალიან სპეციფიკური პოზიტიური ვალდებულება, რომელსაც სასამართლო განახორციელებს მოცემულ საქმეში საკუთარი ამოცანის შესრულებისას, არის შეაფასოს თუ არა მის ხელთ არსებული შეფასების ფარგლების გათვალისწინებით, მოპასუხე სახელმწიფომ დაადგინა თუ არა სამართლიანი ბალანსი მომჩივნების საერთო ინტერესებსა და ინდივიდუალურ ინტერესებს შორის, სამოქალაქო სტატუსის ჩანაწერებში სქესი/გენდერის ნიშნის შეცვლის და მათი ყველა ოფიციალური პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაფართოებით, რათა ისინი შეესაბამებოდეს მათ გენდერულ იდენტობას.

74. სასამართლო ეთანხმება მთავრობის არგუმენტს, რომ სამოქალაქო სტატუსის ხელშეუვალობის პრინციპის დაცვა, სამოქალაქო სტატუსების ჩანაწერების თანმიმდევრულობა და სანდოობა და, უფრო ფართოდ, სამართლებრივი უსაფრთხოების აუცილებლობა წარმოადგენს საერთო ინტერესს და ამართლებს, პრინციპში, გენდერული აღიარების კანონიერ რეგულირებას (see, *mutatis mutandis, A.P., Garçon and Nicot*, cited above, § 142). თუმცა, წინამდებარე საქმეში მთავარი პრობლემა არის ის, რომ სრულიად გაუგებარია, როგორია რეალურად საქართველოში სქესის/გენდერის ნიშნის შეცვლის სამართლებრივი რეგულირება. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში არსებობს დებულება, რომელიც ნებას რთავს პირს შეიცვალოს სქესის/გენდერის ნიშანი სამოქალაქო სტატუსის ჩანაწერებში, კანონი დუმს შესასრულებელი პირობებისა და საჭიროების შემთხვევაში

რა სამედიცინო პროცედურები უნდა განხორციელდეს სქესის კანონიერი აღიარებისთვის. აღნსანიშნავია ის ფაქტი, რომ მთავრობამ არ მიმართა სასამართლოს კონკრეტულ საკითხზე ქვეყანაში სქესის ლეგალური აღიარების მიზნებისთვის საჭირო ზუსტ სამედიცინო პროცედურებთან დაკავშირებით, ისევე როგორც ის ფაქტი, რომ ეროვნული სასამართლოების წინაშე წარმოებისას წამოჭრილი მსგავსი კითხვები ასევე უპასუხოდ დარჩა, სასამართლო ადგენს, რომ ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა არ წარმოადგენდა რაიმე მითითებას სამედიცინო პროცედურების ზუსტი ხასიათის შესახებ. აღსანიშნავია ასევე ის, რომ მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი უფლება ქვეყანაში 1998 წლიდან არსებობდა, დღემდე არ დაფიქსირებულა სქესის წარმატებული იურიდიული აღიარების არც ერთი შემთხვევა.

75. სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობა ამტკიცებდა, რომ სამოქალაქო მდგომარეობის შესახებ კანონის 78(ზ) მუხლში გამოთქმა „სქესის შეცვლა“ უნდა შეფასებულიყო „ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური ან/და ანატომიური კრიტერიუმებით“. თუმცა, რაიმე საკანონმდებლო განმარტების არარსებობის გათვალისწინებით, გაუგებარია, თუ როგორ უნდა მოხდეს კანონის წაკითხვა. მართლაც, განსაკუთრებული სიფრთხილე და სიზუსტეა საჭირო ასეთი განსხვავებული ტერმინების ურთიერთშენაცვლებით გამოყენებისას, რადგან თითოეულ ამ ტერმინს აქვს თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა და იწვევს განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს. მაგალითად, რამდენადაც „სქესის შეცვლა“ უნდა განისაზღვროს ბიოლოგიური კრიტერიუმების საფუძველზე, მაშინ ვერასოდეს იქნება შესაძლებელი გენდერის კანონიერი აღიარება, რადგან ქრომოსომები ვერ შეიცვლება ვერანაირი სახის სამედიცინო ჩარევით (see *Christine Goodwin v. the United Kingdom* [GC], no. 28957/95, § 82, ECHR 2002-VI). სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ გარდა „სქესის შეცვლის“ ბუნდოვანი დეფინიციისა, რომელიც ეფუძნება „ბიოლოგიურ, ფიზიოლოგიურ ან/და ანატომიურ კრიტერიუმებს“, იყო აშკარა წინააღმდეგობა, თუ როგორ განიხილავდნენ ეროვნული სასამართლოები მესამე მომჩივნის საქმეს. ამგვარად, მაშინ როცა სააპელაციო სასამართლომ განაცხადა, რომ ჰორმონალური მკურნალობის დასრულება, მეორადი სქესის მახასიათებლების ცვლილებით საკმარისი არ იყო სქესის ლეგალური აღიარებისთვის, უზენაესმა სასამართლომ საპირისპირო თქვა და განაცხადა, რომ საკმარისი იყო სამედიცინო ცნობა, რომელიც ადასტურებდა ჰორმონალური მკურნალობის „შეუქცევადობას“.

76. სასამართლო თვლის, რომ ზემოაღნიშნული შეუსაბამობები ეროვნული კანონმდებლობის კითხვისას ეროვნული სასამართლოების მიერ, ნაწილობრივ განპირობებული იყო იმით, რომ თავად კანონი არ არის საკმარისად დეტალური და ზუსტი. სხვათა შორის, იგივე დასკვნები ეროვნული კანონმდებლობის დაბალი ხარისხის შესახებ გამოთქვეს შესაბამისმა საერთაშორისო ორგანოებმა. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ თუნდაც 2010 წლის 15 დეკემბრამდე ეროვნული კანონმდებლობა შეიცავდა მინიმუმ გარკვეულ მითითებებს იმის შესახებ, რომ განცხადებას სქესის კანონიერი აღიარების შესახებ უნდა ახლდეს „სამედიცინო ცნება“, ამ თარიღის შემდეგ ეს მინიმალური სიცხადეც კი გაქრა კანონიდან. მოქმედი კანონმდებლობის სიზუსტე, თავის მხრივ, ძირს უთხრის

პრაქტიკაში სქესის კანონიერი აღიარების ხელმისაწვდომობას და როგორც ეს სამი მომჩივნის ინდივიდუალურ სიტუაციებში იყო ასახული, ცხადი საკანონმდებლო ბაზის არარსებობა კომპეტენტურ ეროვნულ ორგანოებს უტოვებს გადაჭარბებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს თვითნებური გადაწყვეტილებების მიღება გენდერის კანონიერი აღიარების შესახებ საჩივრის განხილვისას (see *X v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, cited above, § 70, and also *Y.T. v. Bulgaria*, cited above, § 73).

ზემოაღნიშნული მოსაზრებები საკმარისია იმისთვის, რომ სასამართლომ დაასკვნას, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.